დაიღუპებიან გადამეტებულნი

აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან გადმოცემულია, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «დაიღუპებიან გადამეტებულნი», და სამჯერ გაიმეორა ეს.

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს იმათ წარუმატებლობაზე და წაგებაზე, ვინც რელიგიაში და ამქვეყნიურ ცხოვრებაში უკიდურესი სიმკაცრით და უცოდინრობით მოქმედებს. ისინი თავიანთ სიტყვებსა და ქმედებებში გადადიან იმ შარიათის საზღვრებს, რითაც მოვიდა ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3420